



EUROPEAN CENTRE
FOR
MINORITY ISSUES

არის გამოსავალი?

საქართველოში ბოშათა პრობლემების გადაჭრისათვის
გადადგმული პირველადი ნაბიჯები

გიორგი სორდია

ECMI-ს მოხსენება # 21

მაისი 2009

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი – (ECMI) არის არაკომერციული, არასამთავრობო ინსტიტუტი, რომელიც დაფუძნებულ იქნა 1996 წელს დანიის სამეფოს, გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის და შლეზვიგ-ჰოლშტაინის მთავრობების მიერ.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი დაარსდა ქ. ფლენსბერგში, გერმანიისა და დანიის მოსაზღვრე რეგიონის შუა გულში; რათა უურადღება მიეპყრო ამ ტერიტორიაზე არსებულ უმცირესობებისა და უმრავლესობის მშვიდობიანი თანაცხოვრების წარმატებულ მაგალითზე.

უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი-ს მიზანია, ხელი შეუწყოს მრავალდისციპლინარულ პკელევას იმ საკითხებზე, რომელიც ეხება უმცირესობებისა და უმრავლესობის ურთიერთობებს, ევროპული მიღგომების გათვალისწინებით. ამასთანავე, წვლილი შეიტანოს ინტერ-ეთნიკური ურთიერთობების გაუმჯობესებაში დასავლეთ და აღმოსავლეთ უკროპის იმ ნაწილში, სადაც ადგილი აქვს ეთნო-კონფლიქტებსა და დაპირისპირებებს.

ECMI – ს კვლევით ნაშრომებზე მუშაობენ ECMI-ს თანამშრომლები და ცენტრის მიერ მოწვეული მაგლევარები. ECMI-ის მიერ გამოცემულ კვლევებში გამოხატულ აზრებზე, ასეუსისმგებელია ნაშრომის ავტორი.

ECMI-ს მოხსენება № 21
უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრი (ECMI)
დირექტორი: დოქ. მარკ ველერი
© ECMI 2009

EUROPEAN CENTRE FOR MINORITY ISSUES (ECMI)

Schiffbruecke 12 (Kompagnietor) D-24939 Flensburg
phone: +49-(0)461-14 14 9-0 fax +49-(0)461-14 14 9-19
e-mail: info@ecmi.de Internet: <http://www.ecmi.de>

არის გამოსავალი?

საქართველოში ბოშათა პრობლემების გადაჭრისათვის გადადგმული პირველადი ნაბიჯები

გიორგი სორდია

შესავალი

ბოშათა თემის ისტორია საქართველოში, მათი ყოველდღიური ცხოვრება, ურთიერთობები სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან თუ მათ წინაშე არსებული პრობლემები საქართველოს ეთნიკური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად შესწავლილი საკითხია. ეგროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ბოშათა უფლებების დაცვას და მათ საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობას სისტემური ხასიათი აქვს მიღებული, საქართველოში ბოშებისათვის თანაბარი შესაძლებლობების შეთავაზება თუ მათი უფლებების დაცვა მხოლოდ ჩანასახოვან სტადიაში იმყოფება. ამის მთავარი მიზეზი არის ბოშების და მათი ყოფის შესახებ ინფორმაციის სიმცირე როგორც საზოგადოებაში, ასევე ხელისუფლებაში.

პირველი სისტემური და ყოვლისმომცველი კვლევა საქართველოში ბოშების შესახებ ჩატარებულ იქნა უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიერ 2007 წელს რომელიც მოგვიანებით გამოქვეყნებულ იქნა.¹ ნაშრომში წარმოდგნილია ბოშათა გადმოსახლების ისტორია საქართველოში, მათი განსახლების ადგილები, დემოგრაფიული მონაცემები, თემის სოციალური სტრუქტურა და მათ წინაშე არსებული მთელი რიგი ეკონომიკური, სოციალური თუ სხვა პრობლემები.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი ძირითადი პრობლემატიკა: უკიდურესი სიდარიბე, უმუშევრობა, განათლების და ჯანდაცვის მწირი ხელმისაწვდომობა, იზოლირება ქვეყნის ძირითადი მოსახლებისაგან, დოკუმენტაციის არქონა და ასე შემდეგ. ადნიშნული კვლევის შემდეგ უმცირესობათა საკითხების ევროპულმა

¹ იხილეთ დევიდ ჟაკონი, “გამოსავალი არ არის: ბოშათა თემის შეფასება საქართველოში”, უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის სამუშაო მოხსენება №39, ობერვალი 2008.

ცენტრმა კვლავ განაგრძო ბოშათა თემის შესწავლა, რომელიც მიზნად ისახავდა ერთის მხრივ, ბოშათა სრულ დემოგრაფიულ აღწერას, მათი პრობლემების უფრო სიღრმისეულად შესწავლას, საჭიროებების შეფასებას, დამატებითი ინფორმაციის მოპოვებას თემის ეთნიკური და კულტურული თავისებურებების შესახებ, მეორეს მხრივ კი სპეციალური ანკეტირების მეშვეობით ბოშათა სოციალური პრობლემატიკის დოკუმენტირებას, რამაც საშუალება მოგვცა მიგვედო ზუსტი სურათი ბოშათა თემის წევრთა შორის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის, ბავშვებში დაბადების მოწმობების რაოდენობის, მოზარდთა დასაქმების, თუ ბავშვთა სკოლაში ჩარიცხვის რაოდენობის შესახებ.

კვლევა განხორციელდა 2008 წლის მეორე ნახევარსა და 2009 წლის დასაწყისში.² უმცირესობათა საკითხების ეპროპული ცენტრის №39 სამუშაო მოხსენებაში წარმოდგენილი ინფორმაციის გარდა მოცემულ კვლევაში შესულია მთელი რიგი ახალი მიგნებები, რომელიც უკავშირდება ბოშათა თემის დემოგრაფიას და სტატუსს. ამ მონაცემების და ინფორმაციის გამოქვეყნებით ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მეტი ბიძგი მივცეთ საქართველოს ხელისუფლებას და სამოქალაქო სექტორს ბოშათა წინაშე არსებული მწვავე პრობლემების გადაჭრისათვის.

ბოშათა განსახლების არეალი და დემოგრაფიული მონაცემები

საქართველოს ბოშათა თემი დაახლეობით 1000 ადამიანს ითვლის.³ – ეს რაოდენობა მოიცავს მოლდაველთა დასახლებას თბილისში და ქუთაისში ჭავჭავაძის სახელობის ხიდთან მცხოვრებ მოსახლეობას, რომლებიც ბოშათა მსგავსს ცხოვრებისს წესს მისდევენ (იხილეთ სქოლიო 5 და 6). მოცემულ რაოდენობაში არ არის შეყვანილი აფხაზეთში მცხოვრები ბოშები. ბოშათა გადმოსახლეობა საქართველოში მე-19 საუკუნის დასაწყისიდან დაიწყო, განსაკუთრებით დიდი ტემპები ამ პროცესმა საბჭოთა პერიოდში 1930-70-იან წლებში მიიღო, გადმოსახლება ძირითადად ხორციელდებოდა რუსეთიდან და

² კვლევის ჩატარება შესაძლებელი გახდა უმცირესობათა საკითხების ეპროპული ცენტრის პროგრამის “უმცირესობათა მართვის ხელშეწყობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში” მეშვეობით. აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

³ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ბოშათა სხვადასხვა განსახლების ადგილებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ იხილეთ დანართი A.

უკრაინიდან.⁴ დღესდღეობით ბოშები საქართველოში მცირე-მცირე ჯგუფებად განსახლებული არიან როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში, კერძოდ:

თბილისი, ხამგორის რაიონი

მჭიდრო დასახლება ნავთლუების საკოლმეურნეო ბაზართან ახლოს, სადაც ბოშათა 17 ოჯახი (196 ადამიანი) არის განსახლებული. სამგორის ბოშათა აბსოლუტური უმრავლესობა ცხოვრობს ნაქირავებ კერძო სახლებში, თავს ირჩენენ ნავთლუების და ლილოს ბაზრობებზე ვაჭრობით, მცირე ნაწილი ეწევა მათხოვრობასაც. სამგორში ბოშები შედარებით ახალი დასახლებულები არიან, კერძოდ, მათ აქ დასახლება 1980-იანი წლების ბოლოდან დაიწყეს ქალაქ ქუთაისიდან, სადაც დღემდე არიან რეგისტრირებულნი და აქვთ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. გადმოსახლების მიზეზად თავად ბოშები ქუთაისში იმ დროისათვის არსებულ მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას ასახელებენ. საცხოვრებელი ადგილის შეცვლის მიუხედავად მათ არ დაუკარგავთ კავშირები ქუთაისთან, აქვთ სავაჭრო ურთიერთობა, ხშირად აკითხავენ ნათესავებს⁵.

ქუთაისი, აგანგარდის უბანი

საბჭოთა პერიოდში ქუთაისის ბოშათა დასახლება ერთ-ერთ ყველაზე მრავალრიცხვანი იყო, მიმოფანტული მთელი ქალაქის მასშტაბით, თუმცა უკანასკნელი პერიოდის მანძილზე მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა, რაც გამოწვეულია გარე მიგრაციით, ძირითადად რუსეთის მიმართულებიდან, ასევე

⁴ უფრო დაწვრილებით საქართველოში ბოშათა გადმოსახლების ისტორიის, საბჭოთა და დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდში მათი ცხოვრების შესახებ იხილეთ დევიდ ჟაკინი, დასახ. ნაშრომი.

⁵ თბილისში არსებობს კიდევ ერთი საქმაოდ დიდი დასახლება, ლოტენის უბანში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა „ბოშების უბანი“, რესული ტერმინოლოგიით „ციგანსკი პასიოლოგი“ უწოდებს. მოსახლეობის ეს ჯგუფი, რომელიც დაახლეობით 300 ადამიანისაგან შედგება ცხოვრების დაახლეობით იხეთ წესს ეწევა, როგორც საკუთრივ ბოშები, ეწევიან ვაჭრობას თბილისის ცენტრალური რეინიგზის ვაგზალზე, ბაგჟვების ნაწილი კი მათხოვრობს, რის გამოც გარშემო მოსახლეობისათვის ისინი აღიქმებიან ბოშებად, თუმცა საკუთარი თავის იდენტიფიკაციას ეს ჯგუფი ბოშებთან არ ახდებს, პირიქით მათი ბოშებად მოხსენიება აგრესიასაც კი იწვევს. საკუთარ თავს ისინი მიაკუთვნებენ მოლდავურ ეთნოსს, მათივე განცხადებით ჩამოსახლდნენ მოლდავეთიდან და დასავლეთ უკრაინის სხვადასხვა რეგიონებიდან 1930-იან წლებში.

ერთი ჯგუფის თბილისში, სამგორის რაიონში გადმოსახლებით. დღეისათვის ქუთაისში მცხოვრები ბოშები წარმოდგენილი არიან ავანგარდის უბნის ორ პატარა დასახლებაში და შესდგება ექვსი ოჯახისაგან (42 ადამიანი). ერთი არის უბნის დასაწყისში არსებული კერძო სახლები, სადაც ბოშათა ორი ოჯახი ცხოვრობს, ასევე უბნის ცენტრალურ ნაწილში არსებულ სექციურ, ცხრა სართულიან კორპუსში, სადაც ბოშების მხოლოდ ოთხი ოჯახია დარჩენილი. კერძო სახლებში მცხოვრები ბოშები ინარჩუნებენ ბოშათა ტრადიციულ ცხოვრების წესს, რაც პირველ რიგში თვალში საცემია ჩაცმულობის ტრადიციულ სტილზე, მაშინ როდესაც კორპუსებში მაცხოვრებელი ბოშები ურბანიზაციის გავლენით არ გამოირჩევიან სხვა მაცხოვრებლებისაგან.⁶

ქობულეთი, გილაურის უბანი

მსგავსად სამგორისა, ქობულეთიც ბოშათა ერთ-ერთი ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლებაა საქართველოში. მათი რიცხვი შეადგენს ჩვიდმეტ ოჯახს (87 ადამიანი), რომლებიც განსახლებულები არიან ქალაქის ცენტრთან ახლოს, სარკინიგზო ხაზის აღმოსავლეთით, გილაურის უბანში. ცხოვრობენ საკუთარ სახლებში, რომლებიც უბნის სხვადასხვა ადგილას არის გაპნეული. საცხოვრებელი პირობები სხვა დასახლებებისაგან განსხვავებით შედარებით უკეთესია, გააჩნიათ უწყვეტი ელექტროენერგია და წყალი. ეწევიან ვაჭრობას, ასევე დაკავებული არიან სხვადასხვა ხელნაკეთების შექმნით, რომლებსაც შემდგომ ყიდიან. ნაწილი დასაქმებულია ისეთ სამსახურებში როგორიცაა მძღოლობა, მეთევზეობა და სხვა.

ბათუმი, ბენიაძის ქუჩა

ბათუმში წარმოდგენილია ბოშათა ძალიან მცირე ჯგუფი, სამი ოჯახის შემადგენლობით (14 ადამიანი), რომლებიც ნაქირავებ სახლებში ცხოვრობენ

⁶ ქუთაისში, მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროზე, ჭავჭავაძის სახელობის ხიდთან კუსტარულად აშენებულ თავშესაფრებში ვევდებით კიდევ ერთ ეთნიკურ ჯგუფს, ხუთი ოჯახის შემადგენლობით (დაახლოებით 50 ადამიანი), რომლებიც საკუთარ თავს ბოშებს უწოდებენ, თუმცა ქუთაისში მცხოვრები სხვა ბოშები უარყოფენ მათ ბოშურ წარმომავლობას და გამოხატავენ აშკარა აგრესიას და მტრობას მათ მიმართ. აღნიშნული ჯგუფი მართლაც გამოირჩევა ბოშათა სხვა დასახლებებისაგან, არიან ისლამის აღმსარებლები, ამასთანავე ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ თავიანთი წარმომავლობის შესახებ და იძლევიან ერთმანეთისაგან საწინააღმდეგო ინფორმაციას. საგარაუდოდ არიან აზერბაიჯანიდან და ცენტრალური აზიიდან შემოსულები. საუბრობენ ბოშებისაგან აბსოლუტურად განსხვავებულ ენაზე, საგარაუდოდ კურმანჯულ (ქურთულ) დიალექტზე.

ბესიკის ქუჩაზე. ეს ჯგუფი წაროშობით არის ქუთაისიდან და მათი განცხადებით დროებით ცხოვრობენ პათუმში, ძირითადად ეწევიან მათხოვრობას.

დედოფლისწყაროს რაიონი, სოფელი ლენინგრადი

ცხოვრობს კომპაქტურად დასახლებული ბოჭების შედარებით დიდი რაოდენობა, კერძოდ 11 ოჯახი, სულ 73 ადამიანი. სოფელში ბოჭების გარდა ასევე ცხოვრობენ რუსები - 6 ოჯახი და ქართველები - 2 ოჯახი. სოფელში ბოჭებს გააჩნიათ საქუთარი სახლები და ეზო, რომელიც გამოდგება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისათვის. სოფელს უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია. წყალგაყვანილობა და კანალიზაცია არ არის, თუმცა სოფლის ცენტრში არის რამდენიმე ჭა, საიდანაც მოსახლეობა იყენებს სასმელ წყალს. მიუხედავად სასოფლო-სამეურნეო პირობების არსებობისა, სოფელი სიღარიბით გამოირჩევა. მოსახლეობის უმეტესობა დაუსაქმებელია, ნაწილი ეწევა ვაჭრობას, ძირითადად ქალაქ დედოფლისწყაროში, ასევე ლილოს ბაზრობაზე და თბილისის რკინიგზის სადგურთან. ლენინგრადი ბოჭებისთვის უცხო არ არის ასევე მათხოვრობა.⁷

გარდაბნის რაიონი, სოფელი გაჩიანი

შედარებით პატარა ზომის დასახლებაა, თუმცა საკმაოდ მჭირდო და ხალხმრავალი. სოფელში წარმოდგენილია ბოჭათა თექვსმეტი ოჯახი, სულ 122 ადამიანი. ათი ოჯახი კომპაქტურად არის კონცენტრირებული სოფლის ძირითადი ნაწილიდან მოშორებით, ექვსი ოჯახი კი გაფანტულად ცხოვრობს აზერბაიჯანული მოსახლეობის გარემოცვაში.

საცხოვრებელი პირობები გაჩიანში, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა საქუთარ სახლებში ცხოვრობს, ბევრად უარესია ვიდრე ლენინგრადი, ან სამგორში. ნაწილი სახლებისა არის კაპიტალურად ნაშენი, ნაწილი კი სახელდახელოდ მოწყობილი, ფარდულის ტიპის. სახლებთან ახლოს არის ეზოებიც, თუმცა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის არ არის გამოსადეგი. დასახლებას აქვს სასმელი წყლის პრობლემაც. წყლის მილი მიედინება

⁷ მადლობას ვუხდი საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებს სალომე ალანიას და საბა გვერგვაძეს, რომლებიც ნებაყოფლობის მონაწილეობდნენ სოფელ ლენინგრადში საველე კლევებში და დიდი წვლილი შეიტანეს ინფორმაციის მოგროვებასა და ადგილობრივი ბოჭებოსაგან ინტერვიუების ადებაში.

დასახლებიდან 200 მეტრის მოშორებით, საიდანაც მოსახლეობას უწევს ხოლმე სახმელი წყლის ზიდვა. ელექტროენერგია სოფელს მიეწოდება, თუმცა იმდენად დაბალი ძაბვით, რომ არ არის საკმარისი არც ტელევიზორის და არც მაცივრის ჩასართავად. თავის სარჩენად მოსახლეობა ვაჭრობს, ძირითადად ლილოს ბაზრობაზე და თბილისის რკინიგზის სადგურთან, ასევე გავრცელებულია მათხოვრობა.

თბილისი, ლილოს დასახლება

მდებარეობს თბილისის აეროპორთან ახლოს, სადაც წარმოდგენილია ბოშათა 3 ოჯახი, სულ 31 ადამიანი. ორი ოჯახი გვრედი-გვერდ ცხოვრობს, ერთი კი შედარებით მოშორებით. ბოშათა ეს დასახლება შედარებით ახალი შექმნილია, გაჩნდა დაახლეობით 10 წლის წინ. ერთი ოჯახი არის აფხაზეთიდან დევნილი, ერთი ქუთაისიდან გადმოსახლებული, ხოლო დარჩენილი ერთი კი მცხეთის რაიონიდან ჩამოსახლდა. დასახლებაში არის კიდევ ერთი საცხოვრებელი ადგილი, თვითნაკეთი კარავი, სადაც დროდადრო სავაჭრო მიზნებისთვის ჩამოდიან ხოლმე ბოშები სოფელ ლენინვკიდან, და გარკვეული პერიოდის მანძილზე რჩებიან.

სამივე ოჯახი სახელდახელოდ აშენებულ პატარა სახლებში ცხოვრობს, სადაც არანაირი რეგისტრტაცია, ან თვიციალური ნებართვა არ გააჩნიათ. მათი საცხოვრებელი ადგილების ახლოს მდებარეობენ სხვადასხვა წარმეობები, კერძოდ, ლიმონათის ქარხანა, ჯართის გადამამუშავებელი ქარხანა და ასე შემდეგ ცხოვრების ნებართვა კი. სწორედ ამ ქარხნების მესვეურების მიერ აქვთ მიღებული გარკვეული სამუშაოების ჩატარების სანაცვლოდ. თუმცა ქარხნების გაჩერების შემთხვევაში ბოშათა მომავალი ბედი გაურკვევლი იქნება.

თელავი

თელავის და გურჯაანის რაიონში მრავლად იყვნენ ბოშები წარმოდგენილი, თუმცა ბოლო პერიოდში მათი რიცხვი შემცირდა. განსაკუთრებით დიდი რაოდენობით ბოშები სახლობდნენ სოფელ მუკუჩანში, 1990-იან წლებში და თანამედროვე პერიოდში მათი ნაწილი გადასახლდა ლენინვკაში, ნაწილი გაჩიანში. ზოგი კი რუსეთში წავიდა უკეთესი სამსახურის შოვნის იმედით. აღნიშნული მიგრაციული პროცესების გამო გურჯაანის რაიონის სოფელ

მუკუზანში არსებული ბოშათა დასახლება, რომელიც ერთ დროს კახეთში ბოშათა მთავარი კონცენტრაციის ადგილად ითვლებოდა, მთლიანად დაიცალა. უკანასკნელმა ბოშურმა ოჯახმა დასახლება დატოვა 2008 წლის დეკემბერში. დღეისათვის ბოშები მცირე რაოდენობით, მაგრამ მაინ შემორჩნენ ქალაქ თელავში, კერძოდ მთავარი საკოლმეურნეო ბაზრის სიახლოვეს, გაზ გასამართი სადგურის ტერიტორიაზე სახლობს ბოშათა სამი ოჯახი (24 ადამიანი), რომლებიც განთავსებულები არიან სპეციალურ ვაგონებში, სადაც კუსტარულად შეყვალილი აქვთ ელექტროენერია. აღნიშნული ტერიტორიის დროებით გამოყენების უფლება ბოშებს მიღებული აქვთ გაზ გასამართი სადგურის მეპატრონეებისაგან, გარკვეული სამსახურის სანაცვლოდ. კერძოდ რამდენიმე ბოშა მუშაობს სადგურში დამის ყარაულად. მას გარდა თელავში მცხოვრები ბოშების მთავარი შემოსავლის წყარო მათხოვობაა.⁸

წარმომავლობა, კლანები და სოციალური სტრუქტურა

საქართველოში მცხოვრები ბოშები, თავად ბოშებთან ინტერვიუების შედეგად დადგინდა, რომ ორ მონათესავე შტოს განეკუთვნებიან და განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც კულტურული ტრადიციებით, ასევე რელიგიური აღმსარებლობით თუ ლინგვისტური თავისებურებებით. ამ ორი შტოს აღსანიშნავად საქართველოში მცხოვრები ბოშები იყენებენ ტერმინებს – კრიმი (ყირიმელი) და კლახი. პირველ მათგანში მოიაზრება ყირიმიდან, სამხრეთ უკრაინიდან და სამხრეთ რუსეთიდან გადმოსახლებული მუსლიმი ბოშები, ხოლო მეორე ტერმინით აღინიშნება ძირითადად უკრაინიდან და ასევე რუსეთიდან გადმოსახლებული ქრისტიანი ბოშები.

კრიმის შტოს განეკუთვნებიან ქუთაისში, სამგორში, ქობულეთში და ბათუმში მცხოვრები ყველა ბოშა, ასევე ლილოში მცხოვრები ერთი ბოშა ოჯახი. ხოლო ვლახის შტოს აკუთვნებენ საკუთარ თავს გაჩიანში, ლენინგრადში და თელავში მცხოვრები ყველა ბოშა, ასევე ლილოში მცხოვრები ორი ოჯახი.

⁸ ზუსტი სტატისტიკური მონაცემები ბოშათა სხვადასხვა განსახლების ადგილებში მოსახლეობის რაოდენობის შესახებ იხილეთ დანართი A.

კრიმის შტოს წევრები ტრადიციულად ისლამური აღმსარებლობის მიმდევრები იყვნენ, გვარებიც უმეტეს შემთხვევაში აქვთ მუსლიმური ფუძით, მაგრამ რუსული დაბოლოებით. საქართველოში ცხოვრების შედეგად ისლამი თანდათანობით იკარგება, დღეის მდგომარეობით მხოლოდ უმნიშვნელო რაოდენობას აქვს ის შენარჩუნებული, ძირითადად მოხუცებს. კრიმის შტოს უდიდესი ნაწილი დღეს უკვე მართლმადიდებლური სარწმუნოების აღმსარებელია, თუმცა რელიგიურობის მადალი დონით არ გამოირჩევიან. გამონაკლისს წარმოადგენენ ქობულეთელი ბოშები, რომელთა დიდი ნაწილი უკანასკნელი 20 წლის მაბილზე ევანგელისტური ეკლესიის მიმდევრები გახდნენ, ეწევიან ევანგელისტურ დვთისმსახურებას, სახელდახელოდ მოწყობილ სამლოცველოში.

ვლახის შტოს წევრები კი გამოირჩევიან იმით, რომ ატარებენ უკრაინულ და რუსულ გვარებს და არიან მორწმუნე მართლმადიდებლები. ორივე შტო ერთმანეთს ბოშებად მიიჩნევენ, თუმცა მათ შორის არსებული სხვაობების გამო მჭიდრო კავშირები არ გააჩნიათ, მცირეა დანათესავების შემთხვევებიც. ახლო კავშირების არსებობას ხელს უშლის ასევე ლინგვისტური სხვაობები, მიუხედავად იმისა, რომ ორივე შტო ბოშურად მეტყველებს, სხვაობა დიალექტებს შორის ზოგ შემთხვევაში იმდენად დიდია, რომ კომუნიკაციას ვერ ახერხებენ.

აღნიშნული ორი შტოს გარდა, აღსანიშნავია, რომ თითოეული ეს შტო რამდენიმე მცირე-მცირე კლანებად თუ საგვარეულოებად იყოფა. მაგალითად, კრიმის შტო დაყოფილია შემდეგ საგვარეულო კლანებად: ჩორადაეხი, პუტალიძისი, ჯუჯუჯა, ბუბულიადეხი. ოთხივე ეს კლანი წარმოდგენილია საქართველოში კრიმის შტოს ყველა დასახლებაში. ვლახის შტო კი შემდეგი კლანებით იყოფა, გაჩიანში: ბუბუა, პლაშუნი, მელენეკი, მანკი, ტემრიუკი. ლენინგრადის წარმოდგენილია პარბუზი, ხალიჭაჩი, პალენეკი, მელორია. კალაში კი გვხვდება ლილოსა და გაჩიანში. აღსანიშნავია, რომ თითოეული ეს კლანი შეიძლება აერთიანებდეს რამდენიმე სხვადასხვა გვარს. კლანის წევრები ახლო ნათესავებად აღიქმებიან, თემის თითოეულმა წევრმა – ორივე შტოში – კარგად იცის საკუთარი კლანური წარმოშობის შესახებ, რომელიც მნიშვნელოვან მახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ბოშათა ეთნო-კულტურულ თვით-იდენტიფიკაციისათვის. ტრადიციის შესაბამისად აკრძალულია ქორწინებები კლანებს შიგნით.

ადსანიშნავია, რომ როგორც კრიმის, ასევე ვლახის შტოს შენარჩუნებული აქვს კავშირები თავიანთ მონათესავე თემებთან რუსეთში, სადაც გარკვეული პერიოდულობით ჩადიან ხოლმე. თავად საქართველოს ბოშების განცხადებით რუსეთში ისინი სარგებლობენ ტერმინით “ქართველი ბოშები”, რომლითაც რუსეთში მცხოვრები ბოშები, განასხვავებენ მათ სხვა ბოშებისაგან.

ბოშათა თემს ტრადიციულად კასტური სტრუქტურა და იერარქიული ლიდერობა ახასიათებდა. არსებობდნენ თემის ლიდერები, ე.წ. ბარონები, რომელთაც შეუვალი ავტორიტეტი გააჩნდათ ამა თუ იმ სადაცო საკითხის გადაჭრის თუ თემისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების დროს. დროთა განმავლობაში თემის შიდა ორგანიზაციულმა სტრუქტურამ ცვლილებები განიცადა და თანდათანობით ბარონის ინსტიტუტმა დაკარგა ადრეული გავლენა. დღესდღეობით, ბარონები ფორმალურად მაინც არსებობენ, თუმცა მათი ავტორიტეტი არ არის საკმარისი თემის სხვა წევრების ნაცვლად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისათვის. ამ ტრადიციული სისტემის რღვევამ წინა პლანზე წამოსწია ოჯახის მნიშვნელობა და ოჯახის უფროსის გავლენა, რომელიც ახლა უკვე მთავარ გადაწყვეტილების მიმღებად ითვლება, თუმცა მისი გავლენა საკუთარი ოჯახს არ სცდება. ის თვალყურს ადევნებს ოჯახის მორალურ აღზრდას, მიუღებელი ტრადიციების დამკვიდრების აღკვეთას და ასე შემდეგ. ერთ-ერთი ასეთი ვალდებულება ოჯახის უფოროსისა, მაგალითად ვლახის შტოში არის შერეული ქორწინების არდაშვება, კერძოდ ვლახის შტოს წევრებისათვის ტრადიციულად მიუღებელია მუსლიმებთან დაქორწინება, მათ შორის კრიმის შტოს წარმომადგენელ მუსლიმებთანაც. ოჯახი არ მიესალმება ქორწინებას ასევე ქართველებთან და სომხებთან, თუმცა ეს ფორმალური აკრძალვა უკვე ადარ მოქმედებს, რომლის გამოხატულებაცაა უკანასკნელ პერიოდში მომრავლებული შერეული ბოშურ-ქართული და ბოშურ-სომხური ქორწინებები. შედარებით განსხვავებული სურათია კრიმის შტოში, სადაც ქორწინებები სხვა ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებთან კულტურული ტრადიციებით არ არის აკრძალული.

ენა, კულტურა

საქართველოში მცხოვრები ბოშებისათვის მშობლიური ენა არის ბოშური, რომელიც წარმოდგენილია ორი ძირითადი დიალექტით – კრიმი და ვლახი (იხილეთ ზემოთ). ორივე წარმომავლობის შტოს ბოშები მშობლიური ენის დონეზე ფლობენ ასევე რუსულს, რომელიც ამავე დროს არის საკომუნიკაციო ენა კრიმის და ვლახის შტოებს შორის. მაღალია ასევე ბოშების მიერ ქართული ენის ფლობის დონეც, თუმცა ჩამორჩება რუსულს. ქართულ ენაზე მეტყველების დონე დამოკიდებულია ბოშათა განსახლების ადგილებზე. მაგალითად ქუთაისში და სამგორში მცხოვრები ბოშები საკმაოდ თავისუფლად მეტყველებენ ქართულად, უფრო მეტიც, გარე საზოგადოებასთან აქტიური კონტაქტის შედეგად შეძენილი აქვთ რეგიონისათვის დამახასიათებელი ქართული (იმერული) აქცენტი. მსგავსი სიტუაციაა ქობულეთშიც, თუმცა ქუთაისისგან განსხვავებით ქობულეთის ბოშათა ნაწილს არ შეუძლია ქართულად წერა-კითხვა. ქართული ენის ფლობის თვალსაზრისით გაცილებით რთული მდგომარეობაა აღმოსავლეთ საქართველოს, ვლახის შტოს წევრ ბოშებში. მაგალითისათვის ვლახთა ორ ძირითად დასახლებასში - გაჩიანსა და ლენინოვკაში ქართული ენას, ისიც არასრულყოფილად ფლობენ მხოლოდ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელი ბოშები. ამის მთავარი მიზეზი მდგომარეობს ორივე დასახლების გეოგრაფიულად იზოლირებულ ადგილმდებარეობაში.

მართალია საქართველოს ბოშათა თემმა თითქმის სრულფასოვნად შეინარჩუნა ეროვნული და კულტურილი თვითმყოფადობის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი – ენა, თუმცა იგივეს გერ ვიტყვით ბოშათა სხვა ტრადიციებსა და კულტურაზე. თანდათანობით დავიწყებას ეძლევა ბოშათა ტრადიციული ჩაცმულობის სტილი, იშვიათობას წარმოადგენს ლამაზად მორთული და მოკაზმული, ბრჭყვიალა ქალის კაბები, იკარგება ბოშური სიმღერის და ცეკვის კულტურაც. საბჭოთა პერიოდში ძალიან ხშირად იმართებოდა ხოლმე ბოშათა ქუჩის ფესტივალები, განსაკუთრებით ქუთაისსა და ქობულეთში. ფესტივალის დროს მთელი ბოთაშა თემი გარეთ გამოდიოდა და ტრადიციულ ბოშურ სიმღერებსა და ცეკვებს ასრულებდა. მუსიკალურობა საქართველოს ბოშებს დღემდე შენარჩუნებული აქვთ, თითქმის ყველა ბოშა, განსაკუთრებით ქობულეთში ფლობს სხვადასხვა მუსიკალურ ინსტრუმენტზე დაკვრის ხელოვნებას, თუმცა საჯარო კონცერტებს და ფესტივალებს უკვე აღარ მართავენ. გამოკალისს წარმოადგენს ქორწილის

რიტუალები, რაც კარგი შესაძლებლობაა ბოშური ტრადიციული ხელოვნების გამოსახატად. ქორწილი გამოიყენება ასევე ახლო ნათესავების შესაკრებად, ტრადიციულად საქორწილო დღესასწაული გრძელდება რამდენიმე დღის მანძილზე, რასაც თან სდევს იმპაროვიზებული სიმღერები და ცეკვები. თუმცა უკანასკნელ პერიოდში იმატა ქორწილების რესტორნებში გადახდის ტენდენციამ, რაც მომავალში არასახარბიელოდ აისახება ბოშური ტრადიციული კულტურის შენარჩუნების თვალსაზრისით.

განათლების ხელმისაწვდომობა

სკოლაში სიარულის მაჩვენებელი ბოშებში უკიდურესად დაბალია, რაც წარმოადგენს კიდეც ბოშათა თემის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას. ბოშათა ნებისმიერ დასახლებაში საქართველოში მხოლოდ ერთეული რაოდენობა ბაგშვებისა ირიცხებიან სკოლაში, ხოლო ზოგიერთ დასახლებაში მაცხოვრებლები კი, მაგალითად ლილო, სამგორი, ბათუმი არც ერთი ბაგშვი არ დადის სკოლაში. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობს, კერძოდ, მშობლები ბაგშვებს აგზავნიან სავაჭროდ ან სამათხოვროდ, რაც ოჯახისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროა, ზოგ შემთხვევაში მშობელი მთელი დღის მანძილზე სახლიდან გასულია სამუშაოდ და ურჩევნია საკუთარი შვილები სახლში იყვნენ საოჯახო საქმიაბობის შესასრულებლად, მნიშვნელოვან წინააღმდეგობას ქმნის ასევე ბაგშვების ნაწილში დაბადების მოწმობების არქონა (იხილეთ ქვემოთ), კიდევ ერთი, შესაძლოა ყველაზე მთავარი მიზეზი ბოშების მხრიდან სკოლაში დასწრების რაოდენობის სიმცირისა არის მშობლების მხრიდან საკუთარი ბაგშვებისათვის განათლების მიღების აუცილებლობის და განათლების უპირატესობის გაუაზრებლობა. მშობელთა უმეტესობას თავად არა აქვთ საშუალო განათლება მიღებული, განსაკუთრებით ეს შეეხება აღმოსავლეთ საქართველოს ბოშებს. ქუთაისისა და ქობულეთის ბოშა მშობელთა უმეტესობას საშუალო განათლება მიღებული აქვთ, რომლის ძირითადი მიზეზიც მდგომარეობს ამ დასახლებების ურბანიზაციასთან და მაშინდელი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკასთან, რომლისთვისაც საშუალო განათლების გავრცელება, მათ შორის ყველაზე მარგინალური ჯგუფებისთვისაც პრიორიტეტს წარმოადგენდა. ამ თვალსაზრისით ჩამორჩა პერიფერიული გაჩიანის და ლენინგრადის ბოშათა თემი, სადაც მოსახლეობის დიდი ნაწილი წერა-კითხვის უცოდინარია.

ამის მიუხედავად მშობლები საკუთარი ბავშვებისათვის განათლების მიღების პრინციპული მოწინააღმდეგები არ არიან, ზოგ შემთხვევაში პირიქით, დიდი სურვილი აქვთ და განიცდიან, რომ ვერ ახერხებენ ბავშვებისათვის განთლების მიღების შეთავაზებას. კალევის პროცესში გამოიკვეთა, რომ შესაბამისი ახსნა-განმარტებების და მუშაობის ჩატარების შემთხვევაში, ადვილად შესაძლებელია ბოშა მშობლების დარწმუნება და დათანხმება ბავშვების სკოლაში ჩარიცხვასთან დაკავშირებით. 2008 წლის ზაფხულის და შემოდგომის მანძილზე უმციროსობათა საკითხების ევროპული ცენტრმა აქტიური ახსნა-განმარტებითი საინფორმაციო საქმიანობა განახორციელა ბოშათა ლენინოვკის თემში, საიდანაც მხოლოდ ერთი ბავშვი ირიცხებოდა სკოლაში, თუმცა ჩატარებული სამუშაოს შედეგად შესაძლებელი გახდა დამატებით ცხრა ბავშვის ჩარიცხვა უახლოეს, დედოფლისწყაროს საჯარო სკოლაში.

დოკუმენტაცია და რეგისტრაცია

შესაბამისი დოკუმენტაციის არქონა და რეგისტრაციის საკითხი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში მცხოვრები ბოშებისათვის. უკანასკნელ პერიოდში ეს პრობლემა მეტ-ნაკლებად მოგვარდა ლენინოვკის, სამგორის, ქუთაისის და ქობულეთის ბოშებში, სადაც როგორც ზრდასრულ, ასევე არასრულწოლოვან ბოშების უმეტესობას გააჩნიათ შესაბამისი დოკუმენტები (პირადების და დაბადების მოწმობები), რეგისტრირებული კი არიან თავიანთი მუდმივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, გამონაკლისს წარმოადგენს სამგორში მაცხოვრებელი ბოშები, რომელთაც ქუთაისის რეგისტრაცია გააჩნიათ (იხილეთ მაღლა).

დოკუმენტების ფლობის თვალსაზრისით, სავალალო მდგომარეობაა გაჩიანში, ლილოსა და თელავში, სადაც ბოშა მოსახლეობის დაახლეობით ნახევარს არ გააჩნია არანაირი დოკუმენტაცია.⁹ მიზეზი ასეთი მდგომარეობისა. ერთის მხრივ, არის ბოშათა პასიურობა და შესაბამის ოფიციალურ ორგანოებში გამოცხადებისაგან და განცხადებით წარდგენისაგან თავის შეკავება, და მეორეს მხრივ, თავად ამ ოფიციალური სტრუქტურების ნაკლები ინტერესი ბოშათა

⁹ დეტალური სტატისტიკური ინფორმაცია ბოშათა სხვადასხვა თემებში დოკუმენტაციის ქონის შესახებ იხილეთ დანართი A

დასახლებაში დოკუმენტების მოწესრიგებაში. კვლევის წარმოების პერიოდში ჩვენს მიერ შეგროვებულ იქნა ზუსტი სტატისტიკური მონაცემები გაჩიანში ბოშათა დოკუმენტირების შესახებ, რომელიც მიწოდებულ იქნა გარდაბნის რაიონის საპასპორტო სამსახურისათვის. აღნიშნული მონაცემების გარდა გადაცემულ იქნა ასევე გაჩიანში მცხოვრები ბოშათა კოლექტიური განცხადებები შესაბამისი დოკუმენტების გაცემის თაობაზე. რის შედეგად საპასპორტო სამსახურის თანამშრომლები მართლაც იმყოფებოდნენ დასახლებაში, თუმცა მიცემული დაპირებების მიუხედავად პრობლემა მაინც მოუგვარებელი რჩება.

ურთიერთობები მოსახლეობასთან

ბოშათა თითქმის ყველა დასახლება საქართველოში მულტიეთნიკურ გარემოშია, სადაც ბოშებს მუდმივი ურთიერთობები გააჩნიათ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან მაგალითად, ლენინოვკაში- ქართველებთან და რუსებთან, გაჩიანში აზერბაიჯანელებთან, სამგორში ქართველებთან, სომხებთან და აზერბაიჯანელებთან, ქუთაისსა და ქობულეთში მეტწილად ქართველებთან. თავად ბოშების განცხადებით, მათ არანაირი პრობლემები არ გააჩნიათ არც ერთი ამ ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებთან. ბოშებმა არ დაადასტურეს ასევე აშკარა დისკრიმინაციის ფაქტების არსებობის შესახებ, თუმცა მიუხედავად ამისა საზოგადოებაში, განსაკუთრებით ეთნიკურად ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ დიდია ჩამოყალიბებული სტერეოტიპები ბოშებთან დაკავშირებით. ფართო საზოგადოების მიერ ბოშები აღიქმებიან ბინძურ და გაუნათლებელ ხალხის მასად, რომლებმაც მხოლოდ მათხოვრობა და ქუჩის ვაჭრობა იციან. ასეთი სტერეოტიპების ჩამოყალიბებას მეტწილად ხელს უწყობს დიდი ქალაქების ქუჩებში მოხეტიალე და მათხოვარი ბაგშების არსებობა, რომლებიც არც თუ ისე ხშირ შემთხვევაში ბოშები სულაც არ არიან, მაგრამ საზოგადოების მხრიდან მინიჭებული აქვს ბოშის იარლიყი. ტერმინი “ბოშა”, უფრო სწორად ხალხში მეტწილად გავრცელებული რუსული ფორმით “ციგანი” იქცა კრებით სახელად, რომლითაც აღინიშნება ქუჩებში მაწანწალა ბაგშები, თუ მოხეტიალე დარიბი მოსახლეობა განურჩევლად ეთნიკური კუთვნილებისა.

ბოშათა თემის საჭიროებები და უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის ქმედება

კვლევის მიმდინარეობის პროცესში გამოიკვეთა ბოშათა თემის მთელი რიგი საჭიროებები რომელთა გადაჭრა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებას, კერძოდ გამოვყოფით თთხ ძირითად სფეროს:

- საზოგადოებასთან და განსაკუთრებით სახელმწიფო სტრუქტურებთან და ქვეყანაში მოღვაწე სხვადასხვა ორგანიზაციების მიმართ ნდობის ადგენის საჭიროება. აღნიშნული ნდობა დაკარგულია მეტწილად იმ მიზეზიდან გამომდინარე, რომ სხვადასხვა სახელმწიფო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები არაერთხელ დაინტერესებულან ბოშების პრობლემატიკით, თუმცა ეს დაინტერესება სამწუხაროდ მხოლოდ ერთჯერადი ვიზიტებით შემოიფარგლებოდა და არანაირი ქმედითი თანადგომა არ ყოფილა გამოხატული. ამის გამო, უკანსაკნელ პერიოდში ბოშები ზოგ შემთხვევაში არც თუ ისე დიდი ენთუზიაზმით და მეგობრულად ხვდებიდნენ ხოლმე მათთან ვიზიტად მისულ სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს;
- საქართველოს ბოშური თემის კონსოლიდაციის საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ ბოშები საქართველოში არც თუ ისე დიდი რაოდენობით არიან წარმოდგენილი თემი არ არის შეკრული. არ გააჩნიათ არანაირი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც იღვაწებს თემის წინაშე მდგარი პრობლემების მოგვარებისათვის, ან ამ პრობლემების შესაბამისი სახელმწიფო სტრუქტურებში წარმოდგენისათვის;
- ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური თუ საგანმანათლებლო პროგრამების ცოდნის საჭიროება. საქართველოში მცხოვრები ბოშათა აბსოლუტური უმრავლესობა არ ფლობს ინფორმაციას მათთვის ხელმისაწვდომი სოციალური შეღავათების, საპენსიო თუ ჯანდაცვის ფონდების არსებობის შესახებ;
- საზოგადოებაში ბოშებთან დაკავშირებული სტრუტიპების შეცვლის საჭიროება.

უმცირესობა საკითხების ევროპულმა ცენტრმა 2008 წლის ივლისიდან ნორვეგიის მთავრობის დახმარებით წამოიწყო ინიციატივა, რომელიც მიზნად

ისახავდა აღნიშნული საჭიროებების გადაჭრის ხელშეწყობას.¹⁰ საწყის ეტაპზე ბოშათა თემში მოძებნილ იქნა ახალგაზრდა, მოტივირებული და დაინტერესებული ბოშა, რომელიც სტაჟიორად იქნა აყვანილი უმცირესობათა საკითხების ევროპულ ცენტრში. ის აქტიურად იქნა ჩართული ბოშათა შეფასების კვლევაში, რამაც ძალიან გაგვიადვილა როგორც ბოშათა კეთილგანწყობის მოპოვება, ასევე მათში გრძელვადიანი ნდობის ჩამოყალიბება.

ბოშებში ინფორმაციული ვაკუუმის ამოვსების და საკუთარი სამოქალქო უფლებების უკეთ გაგების მიზნით გადაწყვეტილ იქნა სპეციალიზირებული ტრენინგის ჩატარება თემის პოტენციური ლიდერებისათვის. ამ მიზნით 2009 წლის დასაწყისში ბოშათა განსახლების ყველა დასახლებიდან მოძიებულ იქნა ცხრა წარმომადგენელი ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად. ტრენინგი ჩატარებულ იქნა თბილიში, იუსტიციის სამინისტროს სასწავლო ცენტრთან პარტნიორობით, ტრენინგზე აქცენტი ძირითადად გაკეთებულ იქნა სამოქალაქო უფლებებზე, ჯანდაცვის და განათლების სისტემებზე, სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობის სპეციფიკასა და არასამთავრობო ორგანიზაციების არსზე.

აღნიშნული ტრენინგი გამოდგა კარგი შესაძლებლობა ბოშათა მომავალი განვითარების შესახებ მსჯელობისათვის, სადაც თავად ბოშებმა გამოხატეს სურვილი საკუთარი არასამთავრობო ორგანიზაციების დაარსების შესახებ, რომლებიც იბრძოლებენ ბოშათა უფლებების დაცვისა და განვითარებისათვის. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ახლო მომავალში სამი ბოშური ორგანიზაციის დაარსების შესახებ, ლენინოვგაში, ქუთაისსა და ქობულეთში, შემდეგი მიზნებით:

- ბოშათა უფლებების დაცვა და მათი საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- საქართველოს ბოშათა თემში სამოქალაქო ცნობიერების დონის ამაღლება;
- ბოშათა კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებას და განვითარებას საქართველოში;

¹⁰ ეს ინიციატივა არის უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის პროგრამის „უმცირესობათა მართვის ხელშეწყობა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარება უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში“ შემადგენელი ნაწილი. აღნიშნული პროგრამა დაფინანსებულია ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

- ბოშათა და საქართველოში მცხოვრები სხვა ეთნიკურ კჯუფებს შორის ურთიერთობების გაღრმავება და კულტურული ურთიერთგაცვლის ხელშეწყობა;
- საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ბოშებს შორის კულტურული და ეთნიკური კონსოლიდაციის განვითარება;
- ბოშების მიერ განათლების მიღების შესაძლებლობები წაახალისება;
- საზღვარგარეთ არსებულ ბოშათა ორგანიზაციებსა და საქართველოში მცხოვრებ ბოშებს შორის კავშირების დამყარება;
- საქართველოში ბოშებთან მიმართებაში არსებული ინფორმაციული გაკუუმის ამოვსება და ბოშური კულტურისა და ტრადიციების პოპულარიზაცია.

გამომდინარე იქიდან, რომ ბოშებისათვის განათლება ერთ-ერთი ყველაზე მწვავე პრობლემაა უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის მიერ სოფელ ლენინოვგაში მცხოვრები ბავშვებისათვის ხელშეწყობილ იქნა ავტობუსის ხაზის დანიშვნა სოფლიდან უახლოეს სკოლამდე, ქალაქ დედოფლისწყაროში, რომელიც სოფლიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს. სკოლის პედაგოგებთან ერთად ბოშა მშობლები დარწმუნებულ იქნენ ბავშვების სკოლაში სიარულის აუცილებლობაში, შედეგად კი ცხრა ბავშვი ყოველდღიურად და დიდი მონდომებით ესწრება გაკვეთილებს (იხილეთ ზემოთ).

სოფელი ლენინოვგა კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ შეიძლება პოზიტიურად შეიცვალოს მოსახლეობის განწყობა განათლების მიღების აუცილებლობის მიმართ, და რეალურად, როგორ შეიძლება დაიწყოს და განვითარდეს ინტეგრაციის პროცესი. მაგალითისათვის აღვნიშნავდით, რომ ცხრა ბოშის ორგანიზებულმა და ჯგუფურმა ჩარიცხვამ სკოლაში გამოიწვია როგორც ბოშა ბავშვებისა და ქართველი მოსწავლეების დამეგობრება, ასევე ბოშა და ქართველი მშობლების დაახლოება. გახშირდა ქართველების სტუმრობის ფაქტები ლენინოვგაში და პირიქით.

მიუხედავად იმისა, რომ ბოშების თემში არსებული პრობლემატიკა უკანასკნელი წლების მანძილზე მეტწილად უცვლელია, კვლავ სახეზეა განათლების, ჯანდაცვის თუ სოციალური შედავათების მიღების ხელმისაწვდომობის სიმცირე, პრობლემები დოკომენტირების და რეგისტრაციის საკითხში, უკიდურესი

სიღარიბე, თუ სხვა ზემოაღნიშნული ინიციატივის შედეგები აშკარად იმედისმომცემია და აჩვენებს, რომ ბოშა მოსახლეობაში დამოკიდებულების შეცვლა განათლების მიღებასთან და თემის მობილიზაციასთან დაკავშირებით ნამდვილად შესაძლებელია. თემის პრობლემატიკის გადაჭრისათვის მცდელობები მხოლოდ ახლა დაიწყო. უმცირესობათა საკითხების ეპროპული ცენტრი იმედოვნებს, რომ ეს კვლევა და ბოშებთან კავალირებული აღრეული მასალები დაეხმარება შესაბამისს სამთავრობო სტრუქტურებს და სამოქალაქო საზოგადოების აქტორებს უახლოეს წლებში ბოშათა პრობლემების გადაწყვეტაში.

დანართი A. ბოშათა აღწერის ცხრილი

	განიანი - გარდაბნის რაიონი	ლენინგრადის დედოფლისწყაროს რაიონი	ლილოს დასახლება - თბილისი	სამგორის რაიონი - თბილისი	ქუთაისი	ქობულეთი	ბათუმი	თელავი
ოჯახების რაოდენობა	16	11	3	17	6	17	3	3
ადამიანების რაოდენობა	122	73	31	196	45	85	14	24
სრულწლოვანთა რაოდენობა	45	29	14	138	18	25	5	4
არასრულწლოვანთა რაოდენობა	77	44	17	58	27	60	9	20
სრულწლოვანთა რაოდენობა დოკუმენტებით	23	29	9	138	18	21	2	0
არასრულწლოვანთა რაოდენობა დოკუმენტებით	29	41	9	58	27	59	0	0
სასკოლო ასაკის ბაგშევების რაოდენობა	18	16	12	15	10	14	5	15
სკოლაში ჩარიცხულ ბაგშევების რაოდენობა	5	9	0	0	10	3	0	0
შემოსავალი	მათხოვრობა, ვაჭრობა	სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მათხოვრობა	ვაჭრობა	ვაჭრობა, მათხოვრობა	ვაჭრობა, მათხოვრობა	ვაჭრობა, მათხოვრობა	ვაჭრობა, მათხოვრობა	მათხოვრობა
დასახლების ტიპები	საკუთარი სახლები	საკუთარი სახლები	დროებითი თავშესაფრები და კარვები	ნაქირავები სახლები და ბინები	საკუთარი სახლები და ბინები	საკუთარი სახლები	ნაქირავები სახლები	დროებითი თავშესაფრები
ელექტრობა	არის, დაბალი ძაბვა	არის	არის	არის	არის	არის	არის	არის
წყალგაყვანილობა	არ არის, წყარო 200 მ. დაშირებით	არ არის, წყარო სოფელში	არ არის, წყარო დასახლებაში	არის	არის	არის	არის	არის
წარმომავლობის შტო	ვლაბი	ვლაბი	ვლაბი, კრიმი	კრიმი	კრიმი	კრიმი	კრიმი	ვლაბი
კლანის წევრობა	ბუტკა, პლაშუნი, ბელენკი, მანკი, ტემრიუკი	პარბუზი, ნალიპაჩი, პალენკი		ჩორადაქესი, პეტალიდისი, ჯუჯუქვა, ბუბულიადექსი	ჩორადაქესი, პეტალიდისი, ჯუჯუქვა, ბუბულიადექსი	ჩორადაქესი, პეტალიდისი, ჯუჯუქვა, ბუბულიადექსი	/	/
წარმოშობის ქვეყანა	უძრაინა, რესეპტი	უძრაინა, რესეპტი	უძრაინა, რესეპტი	უძრაინა, რესეპტი	რესეპტი, უძრაინა	რესეპტი	რესეპტი	უკრაინა
რელიგია	მართლმადიდებელი	მართლმადიდებელი	მართლმადიდებელი, მუსლიმი	მუსლიმი, მართლმადიდებელი	მართლმადიდებელი, მუსლიმი	კვენგელისტი, მართლმადიდებელი, მუსლიმი	მუსლიმი	მართლმადიდებელი
მშობლიური ენა	ბოშური	ბოშური	ბოშური	ბოშური	ბოშური	ბოშური	ბოშური	ბოშური
მეორე ენა	რესული	რესული	რესული, ქართული	რესული, ქართული	რესული, ქართული	რესული	რესული	რესული
მოძრაობის და გაჭრობის არეალი	განიანი-ლილო-სამგორი-დედოფლისწყარო	დედოფლისწყარო-ლილო-სამგორი-დედოფლისწყარო	ლილო-სამგორი-დედოფლისწყარო	სამგორი-ქუთაისი-თელავი	ქუთაისი-სამგორი-ქობულეთი	ქობულეთი-ბათუმი-ქუთაისი	ბათუმი-ქუთაისი	თელავი-დედოფლისწყარო